# ჩინებული შეშუ რეებს

წამი თითქოს გაიყინა... ერთი უმშვენიერესი წამი იმათგან, რასაც ასე გულუხვად გვთავაზობს სპორტი.

თქვენ, რა თქმა უნდა, უკვე იცანით ამ სურათზე აღბეჭდილი ტანმოვარჯიშე. დიახ, ოლგა კორბუტი გახლავთ — მიუნხენის XX ოლიმპიადის გმირი, რომელმაც ყველა დაიპყრო უმაღლესი ოსტატობითა და ტალანტით.

...სპორტსმენის მოხდენილი სხეული თეთრი ელვასავით ხაზავს ჰაერში წინასწარ ჩაფიქრებულ ტრაექტორიას. რას შეიძლება შევადაროთ ეს ფრენა, სადაც ერთმანეთს უხადოდ, უზუსტესი გაანგარიშებით ერწყმის დახვეწილი პლასტიკა, უჩვეულო მოქნილობა და მოძრაობის სილაღე?

წამი თითქოს გაიყინა... ერთი უმშვენიერესი წამი, რომელიც ტანვარჯიშს სანახაობრივად ყველაზე ბრწყინვალე სპორტულ სახეობათა შორის აყენებს. უყურეთ და დატკბით...

(„კომსომოლსკაია პრავდა", 3 ოქტომბერი).



# როცა საფინალო სასტვენამდე 2 წამი იყო დარჩენილი...

ალმა-ათა, 2 ოქტომბერი. დღეს აქ სტარტი აიღო წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრემ. ყაზახეთის დედაქალაქში ბრძოლაში ჩაება ხუთი გუნდი, რომელთაც სათავეში უდგას საბჭოთა ქვეყნის ჩემპიონი — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის კოლექტივი. დანარჩენი ხუთი გუნდი 3 ოქტომბერს ბაქოს ჯგუფში დაიწყებს ბრძოლას.

დიდი ინტერესი გამოიწვია სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის წყალბურთელთა შეხვედრამ კიევის „დინამოსთან". მეზღვაურთა შემადგენლობაში ექვსი ოლიმპიური ჩემპიონი გამოდიოდა, მაგრამ ამან ოდნავადაც არ შეაკრთო კიეველები: ისინი ბოლომდე თავგანწირულად იბრძოდნენ და მინიმალური სხვაობით დამარცხდნენ — 4:5. გამარჯვებულთა შორის განსაკუთრებით გამოიჩინა თავი სსრ კავშირის ნაკრების კაპიტანმა ლ. ოსიპოვმა, რომელმაც სამი ბურთი გაიტანა. დანარჩენი გოლები კიეველთა კარში ა. დოლგუშინმა და ა. აკიმოვმა გაიტანეს.

უაღრესად მწვავე ბრძოლით აღინიშნა თბილისის „დინამოსა" და ლენინგრადის „ბალტიკის" მატჩი. შეხვედრის დამთავრებამდე 2 წამით ადრე ლენინგრადელები ერთი ბურთით იყვნენ წინ — 3:2. და აი, მათს კარში დაინიშნა 4-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა. თბილისელებმა იგი ზუსტად გამოიყენეს და ანგარიშიც გათანაბრდა — 3:3.

**წყალბურთი**

# ნაკრებში—დაუსწრებლად

კრასნოიარსკის სარბიელზე გაიმართა „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს სამბისტთა პირადი პირველობა, რომელშიც 13 ქალაქის 100-ზე მეტი რჩეული ათლეტი მონაწილეობდა. შეჯიბრება საინტერესო იყო იმითაც, რომ ცენტრალური საბჭოს ნაკრები გუნდი უნდა დაკომპლექტებულიყო.

წარმატებით იასპარეზეს ჩვენი რესპუბლიკის სპარტაკელებმა, რომელთაც 5 საპრიზო ადგილი დაისაკუთრეს. ცენტრალური საბჭოს ჩემპიონები გახდნენ ა. დიღმელაშვილი (80 კგ), ნ. ელიბაშვილი (86 კგ) და თ. ერემეიშვილი (93 კგ). III ადგილებზე გავიდნენ გ. დელიბაშვილი და გ. დიღმელაშვილი.

შედგა ცენტრალური საბჭოს ნაკრები, რომელშიც ჩვენი რესპუბლიკის ოთხი მოჭიდავე მოხვდა. ჩემპიონებს გარდა, ნაკრების შემადგენლობაში დაუსწრებლად შეიყვანეს ევროპის ექს-ჩემპიონი ძიუდოში ტ. ცინცაძე. იგი კრასნოიარსკში ავადმყოფობის გამო ვერ ჩავიდა.

**თ. არაბული,**
სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი სამბოში, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 197 (4707)

1972 წ. 4 ოქტომბერი, ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან


# სამ სახეობაში

აჭარის დედაქალაქის საჭიდაო დარბაზში ერთ კვირაზე მეტ ხანს გასტანა „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს პირველობამ ჭიდაობის სამ სახეობაში — კლასიკურში, თავისუფალში და სამბოში. ასპარეზობაში უმთავრესად იუნიორი ათლეტები მონაწილეობდნენ.

თავდაპირველად ხალიჩაზე გამოვიდნენ კლასიკური სტილის მოჭიდავეები. აქ აშკარად იგრძნობოდა მასპინძელთა უპირატესობა, რომლებმაც ოთხი I, ორი II და ორი III ადგილი დაიკავეს. რესპუბლიკური საბჭოს ჩემპიონები გახდნენ (წონითი კატეგორიების მიხედვით): ლ. საიკიანი (სოხუმი), დ. საულიძე (ბათუმი), ა. ბარციცი (სოხუმი), თ. ბაბუხადია (ქუთაისი), ს. დიასამიძე, გ. ვერეჟნიკოვი, ზ. კვაჭაძე (ყველა — ბათუმი), გ. დოლუზაშვილი (თბილისი), ა. ქორქოლიანი, ზ. ბობოხიძე (ორივე — ქუთაისი).

სამბისტთა ტურნირში წარმატება თბილისელებმა მოიპოვეს. განსაკუთრებით დაგვამახსოვრდა ქვესაშუალო წონის ათლეტების — თბილისელი სამბისტების ნ. ლაშაურისა და მ. ბრიძულის ორთაბრძოლა. ამ უკანასკნელმა ყველა შერკინება მოიგო და ფინალშიც უპირატესობას მიაღწია, მაგრამ საბოლოოდ მაინც II ადგილზე დარჩა, ვინაიდან წინა შეხვედრებში ლაშაურზე მეტი საჯარიმო ქულა აღმოაჩნდა.

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ტ. აგახანოვმა (ქუთაისი), ო. ჩხარტიშვილმა (ბათუმი), კ. თეთრაშვილმა, ა. ხოდელმა, ნ. ლაშაურმა, თ. ხუციშვილმა, ო. ყურაშვილმა (ყველა — თბილისი), ა. ქურასპედიანმა, ვ. მერკვილაძემ, ნ. გოგინოვმა (ყველა — ქუთაისი).

საინტერესო ტურნირი თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა გამოსვლებით დამთავრდა. აქ უნდა გამოვყოთ ორი ათლეტი, რომლებიც სხვებისგან აშკარად გამოირჩეოდნენ დახვეწილი ტექნიკითა და გააზრებული ტაქტიკით. ესენი არიან ბათუმელი პ. ბერიძე და თბილისელი სპორტის ოსტატი შ. ლუთიძე.

ჩემპიონები გახდნენ ვ. ქათამაძე (ქუთაისი), პ. ბერიძე (ბათუმი), ნ. ლვინჯილია, შ. ლუთიძე, დ. არქანია (ყველა — თბილისი), ა. ხუბინიძე (ბათუმი), კ. ბენდიაშვილი (თბილისი), ზ. გვენეტაძე (ბათუმი), თ. ბენდიანაშვილი (თბილისი), რ. ხუტაბა (სოხუმი).

**ვ. ქობელაშვილი,**
(ჩვენი სპეც. კორ.).

ბათუმი.

# სტარტი აიღო ჰოკეისტთა ჩემპიონატმა

ვინ მოიგებს ჰოკეისტთა XXVII საკავშირო ჩემპიონატს, რომელმაც 2 ოქტომბერს აიღო სტარტი? ამას გაიგებთ 30 აპრილს შევიტყობთ ბოლო მატჩის დღეს ან ცოტა უფრო ადრე, როცა უმაღლესი ლიგის გუნდების 144 შეხვედრიდან უმეტესობა უკვე ჩატარებული იქნება.

ისევე როგორც გასულ სეზონში, მოსკოვის ცსკა, „დინამო", „სპარტაკი" და „კრილია სოვეტოვი", ჩელიაბინსკის „ტრაქტორი", ასკ (ლენინგრადი), ვოსკრესენსკის „ხიმიკი", გორკის „ტორპედო", აგრეთვე, სვერდლოვსკის „ავტომობილისტი" ტურნირს ოთხ წრედ ჩაატარებენ. ამგვარად, ყოველ კლუბს 32 თამაში ელის.

საბჭოთა კავშირში შაიბიან ჰოკეის თითქმის ნახევარი მილიონი კაცი თამაშობს. ამას გარდა, დაახლოებით 3 მილიონი მოსწავლე მონაწილეობს „ოქროს შაიბის" კლუბის პრიზების გათამაშებაში. ჰოკეისტთა განკარგულებაშია 50-ზე მეტი ხტადიონი ხელოვნური ყინულით. ამ სეზონში მარტო „ა" კლასში 48 კლუბი ითამაშებს — 9 უმაღლეს ლიგაში, 13 პირველ ჯგუფში და 26 — მეორეში.

საუკეთესო საბჭოთა ჰოკეისტები პირველი და მეორე ნაკრები გუნდებისა და თავიანთი კლუბების შემადგენლობებში ამ სეზონში ბევრ საერთაშორისო შეხვედრას ჩაატარებენ. დეკემბრის შუა რიცხვებში მოსკოვში გაიმართება ტრადიციული ტურნირი „იზვესტიის" პრიზზე სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, შვეციის, ფინეთისა და პოლონეთის ეროვნული გუნდების მონაწილეობით.

ქვეყნის პირველობაში „ანტრაქტი" გაზაფხულზეცაა დაგეგმილი, როცა სსრ კავშირის ნაკრები მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატში ითამაშებს. ეს შეჯიბრება მოსკოვში ჩატარდება 31 მარტიდან 15 აპრილამდე.

საკავშირო პირველობის დღეებში ხანმოკლე შესვენებები მოეწყობა კიდევ ერთი საინტერესო შეჯიბრებისთვის — ქვეყნის თასის გათამაშებისთვის (ამ მეთოთხმეტე ასპარეზობის ფინალი 17 თებერვალს გაიმართება მოსკოვში).

მარტის დამლევს ლენინგრადში ჩატარდება ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ახალგაზრდა ჰოკეისტები — ევროპის იუნიორთა VI ჩემპიონატი.

დავუბრუნდეთ „უფროს" გუნდებს. ჩემპიონატის პირველი სამი მატჩი ასე დამთავრდა: ცსკა — „კრილია სოვეტოვი" 4:1, „ხიმიკი" — ასკ (ლენინგრადი) 5:1, „ტორპედო" — „სპარტაკი" 3:8.

(საკდესი).

# შემთხვევითი არ არის...

ვლადივოსტოკი, 8 ოქტომბერი. წიდოვან ბილიკზე მოტორბოლაში სსრ კავშირს ახალი ჩემპიონი ჰყავს — ადგილობრივი „ვოსტოკის" გუნდი. გადამწყვეტ შეხვედრებში ვლადივოსტოკელებმა ორჯერ დაამარცხეს ბალაკოვოს (სარატოვის ოლქი) „ტურბინის" სპიდვეისტები — 39:38 და 42:36.

„ვოსტოკი" არც წინა სეზონებში გამოდიოდა ურიგოდ, მძაფრ წინააღმდეგობას უწევდა ლენინგრადის, უფის, დაუგავპილსისა და სხვა ქალაქების მოტომრბოლელებს, ერთხელ კი საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორიც იყო.

წლეულს გუნდში გამოცდილ ოსტატებთან ა. პავლოვთან (იგი სსრ კავშირის ნაკრებშიც გამოდიოდა), ო. გალიაუტდინოვთან, ნ. სემიონოვთან, ვ. ზიგანშინთან, ს. გავრილოვთან ერთად ახალგაზრდა სპორტსმენებმაც (ვ. მიხაილენკო, ს. ჟიგოვსკი) გამოიჩინეს თავი.

სპიდვეი ზღვისპირეთში დიდი სიყვარულითა და პოპულარობით სარგებლობს. ვლადივოსტოკის, უსურიისკისა და სხვა ქალაქების საწარმოებში, მუშათა დასახლებებში ახალგაზრდობა გატაცებით ეწაფება სპორტის ამ ვაჟკაცურ სახეობას, სისტემატურად მეცადინეობს და მასობრივ შეჯიბრებებშიც სიამოვნებით მონაწილეობს.

ერთი სიტყვით, „ვოსტოკის" წარმატება სულაც არ არის შემთხვევითი.

**ვ. კლიმენტიევი.**
(საკდესის კორ.).

## სსრ კავშირის საავიაციო სპორტის ფედერაციაში

სსრ კავშირის ცენტრალურ აეროკლუბში სამგზის სსრ კავშირის გმირის, გენერალ-პოლკოვნიკ ი. კოჟედუბის მეთაურობით ჩატარდა სსრ კავშირის საავიაციო სპორტის ფედერაციის ბიუროს სხდომა.

სხდომამ დაამტკიცა სარაკეტო-კოსმოსური სისტემების გამოჩენილი საბჭოთა კონსტრუქტორის, აკადემიკოს ს. კოროლიოვის სახელობის მედალი და დედამიწის პირველი კოსმონავტის ი. გაგარინის სახელობის დიპლომი. ეს ჯილდოები ყოველწლიურად გადაეცემათ ცალკეულ პირებსა და ორგანიზაციებს როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ კოსმონავტიკის განვითარებასა და კოსმოსური სივრცის კვლევა-ათვისებაში საბჭოთა ქვეყნის მიღწევათა პროპაგანდაში შეტანილი წვლილისთვის.

სხდომაზე სსრ კავშირის საავიაციო სპორტის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულია სსრ კავშირის მფრინავი-კოსმონავტი, სსრ კავშირის ორგზის გმირი, გენერალ-მაიორი გ. შატალოვი.

(საკდესი).

**[illegible]-72**

● ლვოვი, 2 ოქტომბერი. დღეს აქ დაიწყო მაგიდის ჩოგბურთის საუკეთესო საბჭოთა ოსტატთა პირად-გუნდური მატჩი. 48 მონაწილეს შორის არიან ზ. რუდნოვა, ს. ფიოდოროვა, ს. გომოზკოვი და ს. სარხოიანი. ტურნირი ოთხ დღეს გასტანს.

● ვეტლანდა (შვეცია). 2 ოქტომბერი. სსრ კავშირის სპიდვეისტთა ნაკრებმა შვედებთან პირველ მატჩში წაგების რევანში აქ გამარჯვებით აიღო — 65:43. საბჭოთა გუნდში საუკეთესო აღმოჩნდა ორი ვიქტორი — ბალაკოვოელი (სარატოვის ოლქი) კალმიკოვი და როვნოელი ტროფიმოვი. მათ შესაბამისად 13 და 11 ქულა დააგროვეს 18-დან. სსრ კავშირის მოტომრბოლელები შვეციაში კიდევ ორ მატჩს ჩაატარებენ.

**[illegible]-72**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მასწავლებელი და მოწაფე

სასტენდო სროლის გამოცდილი ოსტატი ზურაბ მაჩხანელი უკვე ორ ათეულ წელზე მეტია სპორტის ამ სახეობას ეზიარა. იგი მალე დაოსტატდა, ჯერ საქართველოს, შემდეგ კი სსრ კავშირის ნაკრები გუნდების წევრი გახდა. საერთაშორისო შეჯიბრებებში ქვეყანა შემოიარა. მისმა თანატოლებმა სარბიელი დიდი ხანია დატოვეს, მაჩხანელი კი დღესაც ჭაბუკური შემართებით ასპარეზობს.

ვეტერანი არც ახალგაზრდებს ივიწყებს, მუდამ მზადაა მათ გამოცდილება გაუზიაროს, ასწავლოს, დაოსტატებაში დაეხმაროს. მისმა რამდენიმე მოწაფემ უკვე მიაღწია თვალსაჩინო წარმატებებს. მაგალითისთვის თუნდაც საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ტარიელ ჟღენტი და სპორტის ოსტატი თამაზ იმნაიშვილი დავასახელოთ.

... ვარკეთილის სტენდზე სამ დღეს გაგრძელდა ჭაბუკ მესტენდურეთა შეჯიბრება საქართველოს სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების სპარტაკიადის პროგრამით და რესპუბლიკის პირადი ჩემპიონატი. სპარტაკიადაში 23 წლამდე ასაკის სპორტსმენები გამოდიოდნენ (ჩათვლაში პირველი თანრიგისა და უკეთესი შედეგები შედიოდა).

დასანანია, რომ სარბიელზე მხოლოდ არმიის სპორტკლუბის, „ლოკომოტივისა" და მონკავშირის გუნდები ვიხილეთ. მონკავშირის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისევ მოჰკიდა ხელი რესპუბლიკაში სასტენდო სროლის განვითარებას და ნაყოფიც გამოჩნდა: საერთო გუნდურ ჩათვლაში ამ უწყების გუნდმა მხოლოდ არმიელებთან წააგო.

ადგილიდან სროლა არმიელებმა მოიგეს. მართალია, კოლექტივის ოთხი წევრიდან მარტო ოსტატობის კანდიდატმა თენგიზ იმნაიშვილმა შეძლო პირველი თანრიგის ნორმატივის ჩვენება — 100-დან 91 ქულა მოაგროვა. მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა, რომ მისი კოლექტივი I ადგილზე გასულიყო. მონკავშირს II ადგილი ქუთაისელმა ო. ლოსაბერიძემ (88 ქულა) მოუტანა, ხოლო რკინიგზელებიდან ჩათვლა მარტო ა. წიკლაურმა (82) მიიღო.

მრგვალ სტენდზე თავი ისახელა თენგიზ იმნაიშვილის ძმამ — 18 წლის სპორტის ოსტატმა, ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა თამაზმა. იგი ოთხივე სერიაში ზუსტად ისროდა, ოთხივეჯერ მხოლოდ თითო სამიზნეს ააცდინა და 96 ქულით (სპორტის ოსტატის ნორმატივი) მოიგო ტურნირი. სწორედ თამაზის კარგი შედეგის წყალობით დაისაკუთრა „ლოკომოტივმა" გუნდური პირველობა ამ სახეობაში. II ადგილზე გავიდნენ არმიელები, რომელთაგანაც სპორტის ოსტატობის კანდიდატებმა გ. შენგელიამ და ა. სეროვმა 90-90 ქულა მოაგროვეს. მეოთხე შედეგი ქუთაისელ ზ. მელაძეს (მონკავშირი) აღმოაჩნდა — 84 ქულა.

ახალგაზრდები საქართველოს პირადი პირველობის ფინალური შეჯიბრების საგზურებისთვისაც იბრძოდნენ და რამდენიმემ მიზანს მიაღწია. პირად პირველობაში ადგილიდან სროლაში დაწინაურდა თამაზ იმნაიშვილის მწვრთნელი ზ. მაჩხანელი — 95 ქულა 100-დან. მასთან ორ ქულას აგებდა ასევე რკინიგზელი ვ. ალავერდოვი, სამს — არმიელი ი. კონდრატიევი.

მრგვალ სტენდზე შეჯიბრებამ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი თ. მატოიანი („განთიადი") დააწინაურა. მას 100-დან უვნებლად ერთადერთი სამიზნე გადაურჩა მესამე სერიაში და 99 ქულით შეჯიბრებას სათავეში ჩაუდგა. თამაზ იმნაიშვილი ლიდერს 3 ქულით ჩამორჩა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ჟღენტი („ლოკომოტივი") კი მეჟესით...

დასკვნითი ეტაპი. ფინალისტებმა კიდევ 100-100 სამიზნეს ესროლეს. ყველაზე კარგად მწვრთნელმა და მისმა აღსაზრდელმა — მაჩხანელმა და თამაზ იმნაიშვილმა იასპარეზეს. მწვრთნელმა ამ დღეს კიდევ 97 ქულა მოიპოვა, 200-დან 192 ქულა დაუგროვდა და საქართველოს ჩემპიონიც გახდა. ადგილიდან სროლაში კონდრატიევმაც იმარჯვა — 96 სამიზნე გატეხა, სპორტის ოსტატის ნორმატივიც შეასრულა და საბოლოოდ 188 ქულით ჩემპიონატის მეორე პრიზიორი გახდა. III ადგილზეა თენგიზ იმნაიშვილი — 184.

ჟღენტი ფინალში საასპარეზოდ არ გამოვიდა. სამაგიეროდ, მატოიანს უშეღავათო ბრძოლა გაუმართა თამაზ იმნაიშვილმა, რომელიც ლიდერს ფინალის პირველივე სერიაში თითქმის წამოეწია: მატოიანს 25-დან უვნებლად სამი სამიზნე გაექცა, თამაზს — ერთი. ამრიგად, ლიდერთა შორის სხვაობა ქულამდე დავიდა, რაც მეტოქეებმა მესამე სერიამდე შეინარჩუნეს (მეორე სერიაში ორივემ თითო სამიზნეს ააცდინა). მესამე სერიაში მატოიანს ექვსჯერ მოეცარა ხელი, იმნაიშვილს — ორჯერ, და თამაზი ლიდერი გახდა. ისეთი გამოცდილი ოსტატისთვის, როგორიც მატოიანია, სამქულიანი ჩამორჩენის გაბათილება თითქოს იოლი უნდა ყოფილიყო, მაგრამ თამაზი პოზიციის დათმობას არ აპირებდა. მართლაც, ბოლო სერიაში მან ყველა სამიზნე გატეხა (მატოიანმა — 21) და 192 ქულით პირველად მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა. II ადგილზეა მატოიანი — 185, III — შენგელია — 177.

რა გვიჩვენა ტურნირმა? პირველ ყოვლისა, ახალგაზრდების ზრდა. სპეციალისტებს განსაკუთრებით ქუთაისელების — 16 წლის მელაძისა და 17 წლის შენგელიას, აგრეთვე, სეროვის, ძმები იმნაიშვილების, ნ. დიღმელაშვილის (მან პირველად შეასრულა პირველი თანრიგის ნორმატივი) იმედი აქვთ. თუმცა ისიც თქვეს, რომ სასტენდო სროლის განვითარებისთვის ყველა უწყებასა და საზოგადოებაში სათანადოდ არ ზრუნავენ.

ვეტერანმა სპორტის ოსტატმა ვ. ჯაბახიძემ სამართლიანად აღნიშნა, რომ წინათ რესპუბლიკურ ტურნირებში ცეცხლის ხაზზე 70-75 სპორტსმენი იყრიდა თავს, ახლა კი სარბიელზე 40 სპორტსმენიც ვერ ვიხილეთ. ამჯერად ტურნირზე ჩამოსვლა არ იკადრეს აფხაზეთის მესტენდურეებმა, ცოტა სპორტსმენი გამოგზავნეს აჭარამ, მახარაძემ, ქუთაისმა. ზუგდიდიდან ერთი მსროლელი ჩამოვიდა, წალენჯიხიდან — არც ერთი.

ო. გელაშვილი.

• • •





ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: საქართველოს ჩემპიონები — თამაზ იმნაიშვილი (მარცხნივ) და ზ. მაჩხანელი ასპარეზობის დროს.

ავტორის ფოტოები.

# გაიმარჯვეს დინამოელებმა

თბილისში დამთავრდა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა კოლექტივების რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული მოჭადრაკეთა გუნდური შეჯიბრება. ყოველი გუნდის ღირსებას ოთხი ვაჟი და სამი ქალი იცავდა. მათგან ხუთი 22 წელზე მეტი ხნისა არ უნდა ყოფილიყო. ამას გარდა, თითოეული კოლექტივის შემადგენლობაში თამაშობდა თითო ბიჭი და გოგონა ასაკით არა უმეტეს 14 წლისა.

ტურნირში მონაწილეობდა ექვსი გუნდი. I ადგილი მოიპოვეს დინამოელებმა, რომელთაც ყველა მატჩი მოიგეს და 35 შესაძლებლიდან 26,5 ქულა მოაგროვეს. „განთიადისა" და „კოლმეურნის" წარმომადგენლები დინამოელებმა დაამარცხეს ანგარიშით 6:1, „ლოკომოტივის" გუნდი — 5,5:1,5, „ბურევესტნიკი" — 5:2, „სპარტაკი" — 4:3. გამარჯვებულ გუნდში შედიოდნენ ოსტატობის კანდიდატები გ. ზაიჩიკი, ი. პაროშინი, პირველთანრიგოსნები ზ. ზამბახიძე და ზ. აზმაიფარაშვილი, ქალებიდან — ოსტატი ც. კობაიძე, პირველთანრიგოსნები მ. დათაშვილი და მ. ჩიბურდანიძე.

II ადგილზე გავიდა „განთიადის" გუნდი — 24,5 ქულა. ფაქტიურად, მხოლოდ ეს კოლექტივი უწევდა სერიოზულ მეტოქეობას დინამოელებს. დანარჩენი გუნდები საგრძნობლად ჩამორჩნენ. მაგალითად, III ადგილზე გასულმა „სპარტაკმა" მხოლოდ 15,5 ქულა მოაგროვა. შემდეგი ადგილები ხვდათ „ლოკომოტივს", „ბურევესტნიკს" და „კოლმეურნეს". უნდა აღინიშნოს „ბურევესტნიკის" წარუმატებელი თამაში, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ სტუდენტთა სპორტსაზოგადოების მოწინავე მოჭადრაკეები ამ შეჯიბრების დროს საკავშირო უნივერსიადის ნახევარფინალურ ტურნირებში თამაშობდნენ თბილისის უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის სახელით. სხვათა შორის, პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი ფინალში გავიდა, ხოლო უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, რომლებმაც მეორე ჯგუფში II-III ადგილები გაიყვეს, მხოლოდ კოეფიციენტთა ცხრილმა უღალატა (ფინალში პირველი ორი გუნდი გადიოდა).

რესპუბლიკურ სპარტაკიადაში, როგორც მუდამ, ახლაც ჯამდებოდა მოჭადრაკეთა შედეგები დაფების მიხედვით. პირველ დაფაზე გაიმარჯვა გ. ზაიჩიკმა („დინამო") — 4 ქულა 5-დან, მეორეზე — ს. კიკილაშვილმა („განთიადი") — 4,5, მესამეზე — ზ. ზამბახიძემ („დინამო") და მ. ჭიპაშვილმა („განთიადი") — 3,5-3,5, მეოთხეზე — ც. კობაიძემ („დინამო") — 4, მეხუთეზე — მ. დათაშვილმა („დინამო") — 3,5, მეექვსეზე — ი. ეფიმოვმა („ლოკომოტივი") — 4, მეშვიდეზე — მ. ჩიბურდანიძემ („დინამო") — 5.

ნორჩმა მოჭადრაკემ მაია ჩიბურდანიძემ, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ გადმოვიდა თბილისში ქუთაისიდან, ყველა შეხვედრა მოიგო და მონაწილეთა შორის აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი მოიპოვა.

ა. ბუხლაევი,
სპორტის ოსტატი.

# შეხვედრა სახელოვან სპორტსმენებთან

ახლახან თბილისის მე-10 საშუალო სკოლის პიონერულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა პედაგოგიურ კოლექტივთან ერთად შეხვედრა მოუწყვეს სახელოვან ქართველ სპორტსმენებს. სტუმართა შორის იყვნენ მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონები, კალათბურთელები ზ. საკანდელიძე და მ. ქორქია, მათი დამრიგებელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ო. ქორქია, საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გ. ბალავაძე, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ჭიდაობაში გ. სხირტლაძე, ამ სკოლის კურსდამთავრებული — ცნობილი ხელბურთელი ი. ფხაკაძე.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა სკოლის დირექტორმა შ. მანჯგალაძემ.

სტუმრების სპორტულ გზაზე ილაპარაკეს მოსწავლეებმა ლ. დაბრუნდაშვილმა, გ. ლიპარტიამ, ჯ. ბერიშვილმა, ნ. კობიაშვილმა, თ. ბიჩიტაშვილმა.

მოსწავლეებმა სტუმრებს თავიანთი თვითმოქმედება აჩვენეს.

ლ. დაბრუნდაშვილი,
თბილისის მე-10 საშუალო სკოლის X[3] კლასის მოსწავლე.

## [illegible]

✦ გაგრა

ბიჭვინთმშენის № 16 სამშენებლო ტრესტის ფეხბურთელთა გუნდმა რაიონის ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა. II ადგილზეა ბიჭვინთის სამშენებლო კონტორის ნაკრები, ხოლო III — სოფელ განთიადის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის კოლექტივი.

დ. თორაძე.

✦ ქარელი

ბებნისის ტბაზე და ავარის ხელოვნურ ტბაზე მოეწყო მშდ ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება ცურვაში. ეს ღონისძიებები კარგად იყო მოწყობილი — ნორმატივები 300-ზე მეტმა ფიზკულტურელმა ჩააბარა. ქარელის სპორტულ ბაზებზე ნორმატივების ჩაბარება გრძელდება.

ბ. კუტალაშვილი,
ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

# ამიერკავკასიის რესპუბლიკების I მეგობრული თამაშები

[illegible]

ცურვა

ერევანი. 22-24 სექტემბერი.

**გოგონები.** თავისუფალი სტილი. **100 მ.** ლ. სუინა (საქართველო) — 1.05,9, ო. ჩუმკინა (უზბეკეთი) — 1.09,3, გ. სიდორკინა (აზერბაიჯანი) — 1.10,3, ი. ბოგდანოვა — 1.10,7... VIII. ა. იაგლოვა (ორივე — საქართველო) — 1.12,6; **200 მ.** მ. გაბრიელიანი (სომხეთი) — 2.23,9, სუინა — 2.25,6, ი. მარგიშვილი — 2.32,3, იაგლოვა — 2.38,6; **400 მ.** გაბრიელიანი — 5.09,4, სუინა — 5.13,3, ჩუმკინა — 5.13,5, მარგიშვილი — 5.28,8... VIII. იაგლოვა — 5.43,7; **800 მ.** გაბრიელიანი—10.56,4, ჩუმკინა — 11.06,7, ნ. გეოქჩოლლიანი (საქართველო) — 11.21,7, მარგიშვილი — 11.22,5. **ბრასი. 100 მ.** ნ. ზუევა — 1.24,4, ი. ლოგინოვა — 1.25,5, ნ. მაკაროვა (ყველა — უზბეკეთი) — 1.27,0, კირდიანოვა — 1.28,2... VII. მ. გამზინა — 1.30,1... XI. ა. ფურსოვა (სამივე — საქართველო) — 1.32,7; **200 მ.** ლოგინოვა — 3.01,8, ზუევა — 3.02,8, ა. ბეკჩუნტაევა (სომხეთი) — 3.03,4... V. კირდიანოვა — 3.07,1... VIII. გამზინა — 3.10,7, IX. ნ. გამჯიაშვილი (საქართველო) — 3.11,2. **ბატერფლაი. 100 მ.** ნ. სერებრიანიკოვა (უზბეკეთი) — 1.15,5, ვ. პროსკურინა — 1.19,9, რ. მიქაძე (საქართველო) — 1.21,6; **200 მ.** სერებრიანიკოვა — 2.49,6, ვ. პროსკურინა — 2.53,3, ი. მალახოვა (უზბეკეთი) — 2.53,9... V. მუმლაური — 3.13,6, VI. გ. ნატრიაშვილი (საქართველო) — 3.20,2. **გულაღმა. 100 მ.** შ. გოზალიანი (საქართველო) — 1.19,8, ლ. მნაცაკანოვა (სომხეთი) — 1.20,0, ლ. იმნაძე — 1.20,3, ე. შაგიდულოვა (ორივე — საქართველო) — 1.21,0; **200 მ.** ლოგინოვა — 2.49,4, მნაცაკანოვა — 2.50,4, იმნაძე — 2.51,3, შაგიდულოვა — 2.51,4, გოზალიანი — 2.51,9. **კომპლექსური. 200 მ.** ი. მელეხოვა (უზბეკეთი) — 2.50,3, ნ. სუჩკოვა — 2.50,4, ლ. ეგოროვა (ორივე — აზერბაიჯანი) — 2.57,1, გამჯიაშვილი — 2.57,2... VII. მიქაძე — 3.03,5... X. ე. ბილანიშვილი — 3.05,7; **400 მ.** მელიხოვა — 6.10,5, იმნაძე — 6.13,1, მნაცაკანოვა — 6.13,4... V. გამჯიაშვილი — 6.18,0... VII. ბილანიშვილი — 6.39,1.

**ჭაბუკები.** თავისუფალი სტილი. **100 მ.** ს. პანუშკინი (უზბეკეთი)— 59,7, ა. ბავინი (საქართველო) — 59,9, ა. იშკოვი (უზბეკეთი) — 1.00,8... V. ა. ვეჩხაიზერი — 1.01,6, VI. დ. გრიგორი — 1.02,2; **200 მ.** ბავინი — 2.12,4, ვ. მაკაროვი (საქართველო) — 2,12,4, ბ. შპერლინგი (სომხეთი) — 2,13,2... VII. ა. ონუფრიენკო (საქართველო) — 2.17,5; **400 მ.** შპერლინგი — 4.44,5, ბავინი — 4.45,4, ვ. მაკაროვი (საქართველო) — 4.45,8; **1500 მ.** ვ. მაკაროვი (საქართველო) — 18.31,7, ა. სკვორცოვი (უზბეკეთი) — 19.03,2, ვ. მაკაროვი (აზერბაიჯანი) — 19.08,6... V. ვ. დოლიძე — 19.50,0, VI. ი. ბრიზგალოვი (ორივე — საქართველო) — 19.50,7. **ბრასი. 100 მ.** თ. პოდმარევი (უზბეკეთი)—1.16,2, თ. ბახუტაშვილი — 1.16,3, დ. ელიზბარაშვილი — 1.16,4... V. ა. სეროვი (სამივე — საქართველო) — 1.17,5; **200 მ.** ელიზბარაშვილი — 2.44,5, პოდმარევი — 2.45,2, ე. ვართაპეტიანი (საქართველო) — 2.45,7, ბახუტაშვილი — 2.45,7, სეროვი — 2.48,8. **ბატერფლაი. 100 მ.** დ. ჩიტჩიანი (სომხეთი) — 1.05,6, ვ. ფიოდოროვი (უზბეკეთი) — 1.06,4, ვ. კამენეცი (სომხეთი) — 1.06,5... VI. ნ. ბაშარული — 1.06,9... VIII. ს. რეზნიკოვი — 1.09,4, IX. ი. მესხიშვილი (სამივე — საქართველო) — 1.09,7; **200 მ.** ჩიტჩიანი — 2.24,3, ს. მაკაროვი (აზერბაიჯანი) — 2.26,6, ფიოდოროვი — 2.29,0, ბაშარული — 2.29,0... VI. რეზნიკოვი (საქართველო) — 2.38,5, VII. მესხიშვილი — 2.38,8. **გულაღმა. 100 მ.** ვ. მაცუკიანი (აზერბაიჯანი) — 1.08,3, მ. დუდინი (უზბეკეთი) — 1.08,7, ვეჩხაიზერი — 1.09,6, ბ. ჭოხელოვი — 1.12,1... IX. ცაბაძე (სამივე — საქართველო) — 1.15,3; **200 მ.** ბაშარული — 2.29,2, ვეჩხაიზერი — 2.30,1, ჭოხელოვი — 2.33,7. **კომპლექსური. 200 მ.** გრიგორი — 2.32,2, ჭოხელოვი — 2.36,6, გ. დერძიანი — 2.37,6; **400 მ.** ჩიტჩიანი — 5.12,6, მ. მაკაროვი (აზერბაიჯანი) — 5.24,3, გოგაძიშვილი — 5.26,6, გრიგორი — 5.28,3, ზახუნალოვი — 5.36,2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიუნხენის ოქროს წვიმა

## 5. პირველი ნახტომის ფასი

ოლიმპიადაში მონაწილე საბჭოთა მძლეოსანთა ნაკრებ გუნდში საქართველოს ერთადერთი წარმომადგენელი ვიქტორ სანეევი იყო და ოქროს მედალიც მოიპოვა. სამმხტომელთა ასპარეზობაში 22 სპორტსმენი ჩაება, რომელთაგან მხოლოდ რვა გავიდა ფინალში. სწორედ მათ შორის გაჩაღდა გამარჯვებისთვის ბრძოლა. აქ, რასაკვირველია, ფავორიტებად მიაჩნდათ მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონი სანეევი, ი. დრემელი (გდრ), ქ. კორბუ (რუმინეთი) და ნ. პრუდენსიო (ბრაზილია).

ვიქტორი რიგით მეშვიდე იყო. მის გამოსვლამდე დრემელმა წაიფორხილა, არეკნის ნიშანს გადააბიჯა, პრუდენსიო კი 16,87 მეტრზე გადახტა და ეს შედეგი ვიქტორის გამოსვლამდე ყველას სჯობდა.

სტარტზე დადგა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი. იგი სწრაფად გაიქცა არეკნის ზოლისკენ, ჰაერში აიჭრა და... გაფრინდა. ელექტროტაბლოზე 17,35 მ აღიბეჭდა. სანეევი სათავეში ჩაუდგა ასპარეზობას, ვინაიდან სხვა მეტოქეებმა სახეიროს ვერაფერს მიაღწიეს.

მეორე ცდაზე ვიქტორს უფრო მოკრძალებული შედეგი ჰქონდა — 16,17 მ. შემდეგ — 17,19, 16,98. მხოლოდ დრემელმა გადალახა 17-მეტრიანი ზღვარი, როცა ბოლოსწინა ცდაზე 17,31 მეტრზე გადახტა.

უშედეგო იყო სანეევის ბოლო ცდა. ვერც პრუდენსიო მიუახლოვდა ვიქტორის შედეგს — 17,05 მეტრზე გადახტა. ჯერი დადგა დრემელზე, მაგრამ იგი როგორღაც შებორკილი გადახტა და მაჩვენებელიც დაბალი იყო — 15,34. ვ. სანეევი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.

მძლეოსანთა ასპარეზობაში ოლიმპიადის გმირად კიეველი ვ. ბორზოვი ცნიარეს, რომელსაც ტოლი არ ჰყავდა 100 და 200 მეტრზე რბენაში. ვერ ვიტყვი, რომ საბჭოთა სპორტსმენს გაუჭირდა ორივე ოქროს მოხვეჭა. სრულიადაც არა. ფინიშთან მან უკანაც კი მოიხედა, მეტოქეებმა არ მაჯობონო...

მანამდე ჟურნალისტთა შორის ცხარე კამათი გაჩაღდა იმის თაობაზე, თუ ვინ მოიგებდა 100 მეტრზე რბენას. მიუნხენის ბევრი გაზეთი და ჟურნალი ყველაზე წინ საბჭოთა სპორტსმენს აყენებდა. საინტერესო იყო, იტყოდნენ თუ არა თავიანთ სიტყვას ამერიკელები ე. ჰარტი, რ. რობინსონი, რ. ტეილორი, სენეგალელი ბ. სი...

მეოთხედფინალურ გარბენზე ამერიკელები ჰარტი და რობინსონი არ გამოცხადდნენ, რასაც არავინ მოელოდა: თურმე დასძინებოდათ და იმიტომ დაუგვიანდათ. ამრიგად, ნახევარფინალსა და ფინალში ამერიკის შეერთებული შტატებიდან მხოლოდ ერთი სპორტსმენი — ტეილორი გამოდიოდა.

დაჯილდოების შემდეგ მოწყობილ პრეს-კონფერენციაზე გამარჯვებულ ბორზოვს ჟურნალისტებმა შეკითხვები სეტყვასავით დააყარეს. ვალერი სიამოვნებით უპასუხებდა. მაგრამ აი, ფეხზე ერთი ტანმორჩილი კაცი წამოიჭრა, ბორზოვს დიქტოფონი პირთან მიუტანა და ისეთი შეკითხვა მისცა, რომელმაც მთელი დარბაზის აღშფოთება გამოიწვია: „თქვენ ოლიმპიური ჩემპიონი გახდით. კეთილი, მაგრამ გვიპასუხეთ, ვინ არის მსოფლიოში უსწრაფესი ადამიანი?"

დიდი უტაქტო შეკითხვა იყო. ხალხის ხმაურში ბორზოვის პასუხი ვერ გავიგონე, ან რა უნდა ეთქვა... მძლეოსნებს ხომ ოლიმპიურ თამაშებზე მნიშვნელოვანი ასპარეზობა არა აქვთ, როგორც, მაგალითად, ფეხბურთელებს, კალათბურთელებს და სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლებს?

დიქტოფონიან ჟურნალისტს ალბათ ვალერისგან უნდოდა გაეგო, ჰარტსა და რობინსონს ფინალში რომ ერბინათ, საბჭოთა სპორტსმენი გაიმარჯვებდა თუ არა. ტეილორი ამ ორ ამერიკელს არაფრით ჩამოუვარდებოდა.

მაშ რატომ დაეჭვდა ეს არამკითხე კორესპონდენტი? განა 200 მეტრზე რბენის ფინალში ბორზოვთან ერთად სტარტი არ აიღო ამერიკის უსწრაფეს სპორტსმენთა მთელმა თანავარსკვლავედმა — ლ. ბარტონმა, ჩ. სმითმა, ლ. ბლეკმა? საბჭოთა სპრინტერმა ხომ აქაც დაამტკიცა თავისი უპირატესობა და მერე როგორ!

მძლეოსანთა ასპარეზობის ბოლო დღე თითქმის მთლიანად დაეთმო ესტაფეტებს — 4X100 და 4X400. ქალებში პირველი ხახეობა, როგორც ცნობილია, დასავლეთგერმანელმა სპორტსმენებმა მოიგეს. აუწერელი რამ ხდებოდა ამ დროს სტადიონზე. მასპინძელთა გულშემატკივრებმა ერთი ამბავი ატეხეს. ყვირილს კიდევ გაუძლებდა კაცი, მაგრამ მაზხალების ისეთი ბათქა-ბუთქი ატყდა, გეგონებოდათ ქვეყანა ინგრევაო.

საერთოდ, მძლეოსანთა ასპარეზობა ოლიმპიადების მშვენებაა: ეს მიუნხენის თამაშებმაც დაამტკიცა, როცა ათი დღის განმავლობაში მთავარი სტადიონის ხალხით სავსე ტრიბუნებს „მოსვენება" არ ჰქონდა. ან რამდენი გულშემატკივარი დაესწრო მარათონელ რბენას! მთელს ტრასაზე ჩამწკრივებული სპორტის მოყვარულები მქუხარე ტაშით აცილებდნენ დაწინაურებულებსაც და ჩამორჩენილებსაც.

არა მარტო მძლეოსნურმა სტარტებმა, სპორტის სხვა სახეობებში შეჯიბრებებმაც თვალნათლივ ცხადყო სპორტში წინათ ჩამორჩენილი ქვეყნების მძლავრი წინსვლა: იმარჯვებდნენ, საპრიზო ადგილებზე გადიოდნენ კენიის, მადაგასკარის, ბოგატოს, სპილოს ძვლის ნაპირის, ბარბადოსის, ტოგოსა და სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლები. სასიამოვნოა, რომ ოლიმპიური იდეა მოედო ჩვენი პლანეტის ყველა კონტინენტს, შორეულ ახალფეხადგმულ ქვეყნებს. ალბათ გავა დრო და მათი სპორტსმენები კიდევ უფრო ძლიერ მეტოქეობას გაუწევენ სახელმოხვეჭილ ათლეტებს, მოწინავე სპორტულ სახელმწიფოებს.

**ზ. ჯაფარიძე.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

მიუნხენი — თბილისი.

* * *

სურათებზე: თარჯრბენში შეჯიბრების მომენტი ოლიმპიურ სტადიონზე (ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე მონაწილეები უკანასკნელ საწვრთნელ ვარჯიშებს ატარებდნენ სათადარიგო სარბიელზე. წვრთნაზე დასწრებაც კი ფული ღირდა); სპორტის მოყვარულები, რომლებიც შორიდან უყურებენ მთავარი სტადიონის ახლომდებარე სარბიელზე მძლეოსანთა წვრთნას. შორს ჩანს ოლიმპიური სოფელი.

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტის მ. ზარგარიანის ფოტოები.





## ფეხბურთი-72

### სსრ კავშირის პირველობა

### მატჩები, შედეგები

2 ოქტომბერს გაიმართა მორიგი შეხვედრა: „სპარტაკი" — „ლოკომოტივი".

მთელი მატჩის მანძილზე გადაუღებლად წვიმდა, ტრიბუნებზე სულ 200-300 მაყურებელი თუ იჯდა. ანგარიში 30-ე წუთზე გახსნა ლოვჩევმა, ხოლო 69-ე წუთზე პისკარიოვმა მეორე ბურთი გაიტანა „ლოკომოტივის" კარში — 2:0.

### უმაღლესი ლიგა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 4 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ზარია" | 23 | 13 | 6 | 4 | 41—20 | 32 |
| ცსკა | 25 | 14 | 3 | 8 | 32—26 | 31 |
| „არარატი" | 23 | 10 | 7 | 6 | 32—22 | 27 |
| „დინ." (თბ.) | 23 | 9 | 9 | 5 | 28—23 | 27 |
| „დინ." (მნ.) | 24 | 8 | 10 | 6 | 24—21 | 26 |
| „დნეპრი" | 24 | 8 | 10 | 6 | 29—30 | 26 |
| „დინ." (მ.) | 23 | 11 | 3 | 9 | 33—27 | 25 |
| „ზენიტი" | 25 | 7 | 11 | 7 | 27—26 | 25 |
| „დინ." (კ.) | 22 | 8 | 8 | 6 | 34—27 | 24 |
| ასკ | 24 | 7 | 9 | 8 | 27—28 | 23 |
| „ტორპედო" | 23 | 8 | 7 | 8 | 24—28 | 23 |
| „ყაირათი" | 24 | 5 | 12 | 7 | 18—21 | 22 |
| „კარპატი" | 24 | 7 | 6 | 11 | 19—30 | 20 |
| „სპარტაკი" | 22 | 7 | 5 | 10 | 25—24 | 19 |
| „ლოკომოტ." | 25 | 3 | 8 | 14 | 23—40 | 14 |
| „ნეფთჩი" | 24 | 4 | 6 | 14 | 21—44 | 14 |

## კენჭისყრა მეტოქეებს არჩევს

რომი, 3 ოქტომბერი. სსრ კავშირის ჩემპიონი — კიევის „დინამო" ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მერვედფინალში ზაბჟეს „გურნიკს" (პოლონეთი) შეხვდება. პირველ მატჩს კიეველები შინ ჩაატარებენ.

ეს ცნობილი გახდა აქ მოწყობილი კენჭისყრის შემდეგ.

გამოვლინდნენ სხვა ევროპული ტურნირების მორიგი წყვილებიც. მოსკოვის „სპარტაკი" ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების მერვედფინალში მადრიდის „ატლეტიკოს" (ესპანეთი) შეხვდება, ხოლო ერევნის „არარატი" უეფა-ს თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალში — ციურიხის „გრასჰოპერსს" (შვეიცარია). „სპარტაკი" და „არარატი" პირველ თამაშებს სტუმრად ჩაატარებენ.

მატჩები 25 ოქტომბერსა და 8 ნოემბერს გაიმართება.

## „ოქროს ბუცი" — მიულერს

„ფრანს ფუტბოლის" რედაქციამ გამოაცხადა, რომ ჯილდო — „ოქროს ბუცი", რომელიც ყოველწლიურად ენიჭება ევროპის ეროვნული ჩემპიონატების ყველაზე შედეგიან თავდამსხმელს, მიეკუთვნა მიუნხენის „ბაიერნის" ცენტრალურ თავდამსხმელს გ. მიულერს (გფრ).

„ვერცხლის ბუცის" მფლობელი გახდა ბერძენი ფეხბურთელი ანტონიადისი (ათენის „პანათინაიკოსი"). ერთბაშად სამ ფეხბურთელს ხვდა „ბრინჯაოს ბუცი". ესენი არიან: ლი („მანჩესტერ იუნაიტედი"), ჰარპერი („აბერდინი") და სანტრაჩი („ოფკ-ბელგრადი").

## ა. რამსეის აზრით

ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა ა. რამსეიმ ამასწინანდელ ინტერვიუში უპასუხა მრავალრიცხოვან კრიტიკოსს, რომლებიც მას თავს ესხმიან ევროპის პირველობაში განცდილი მარცხისთვის. ოპონენტებს ეჭვი ეპარებათ, რომ ინგლისელები შეძლებენ წარმატებით იბრძოლონ მსოფლიოს 1974 წლის ჩემპიონატში.

ა. რამსეიმ გაიმეორა უწინ გამოთქმული აზრი, რომ მას ინგლისის ნაკრები კვლავ მიაჩნია მსოფლიო ჩემპიონობის ერთ-ერთ უდავო პრეტენდენტად. „მიმომხილველები კი მეტისმეტად პესიმისტურად არიან განწყობილი, თუმცა, ჩვენ შესანიშნავი ახალგაზრდები გვყავს", — დასძინა მწვრთნელმა.

რამსეის აზრით, ბრძოლა მსოფლიო პირველობისთვის ამჯერად უკიდურესად მძაფრი იქნება. ინგლისელთა ძირითად მეტოქეებად მან მიიჩნია სამხრეთ ამერიკიდან — ბრაზილია, არგენტინა, ურუგვაი, ევროპელთაგან კი გფრ, უნგრეთი, იტალია, სსრ კავშირი და ესპანეთი.

რამსეიმ თქვა, რომ ინგლისელებს მეტისმეტად ქანცავს ხანგრძლივი ეროვნული ჩემპიონატი (42 ტური), ამასთან, ნაკრების წევრები ყოველწლიურად დიდი ბრიტანეთის „ოთხთა ტურნირშიც" მონაწილეობენ. ამიტომ რამსეი სულ უფრო მეტ ყურადღებას აქცევს ახალგაზრდულ ნაკრებს, რომელსაც წლეულს გასტროლები ჰქონდა გდრ-ში, პოლონეთსა და სსრ კავშირში. ახალგაზრდა ინგლისელ ფეხბურთელთა თამაშმა მიმომხილველებზეც კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

დასასრულ, რამსეიმ განაცხადა, რომ უკვე ხედავს ინგლისის იმ ნაკრების კონტურებს, რომელიც მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში ითამაშებს.

## მატჩები გადატანილია

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია იუწყება საკავშირო ჩემპიონატის მატჩების გადატანას: შეხვედრები „დინამო" (კიევი) — „ყაირათი", „ზენიტი" — „დინამო" (თბილისი), „კარპატი" — „ზარია", „სპარტაკი" — „ნეფთჩი", „დნეპრი" — ასკ, „დინამო" (მინსკი) — „ტორპედო" გაიმართება 10 ოქტომბერს, ხოლო მოსკოვის „დინამოსა" და „ლოკომოტივის" მატჩი — 11 ოქტომბერს.

საკდესი მოგვითხრობს

# ჩვენი დიდი მრავალეროვანი სამშობლო

## „ცისფერი კლასი" ნორჩებს უხმობს

ამ დღეებში პირველად დაირეკა ზარი, რომელიც უკრაინის ყველაზე უმცროს მოსწავლეებს აუზისკენ უხმობდა. ოქტომბრიდან სასწავლო პროგრამაში ცურვაც არის შეტანილი. ეს უკრაინის სსრ განათლების სამინისტროს, სპორტკომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილებით გადაწყდა.

ლენინგრადის, მინსკის, ხარკოვის, ჩელიაბინსკის, ზაპოროჟიეს, ლიპეცკისა და სხვა ქალაქების ექსპერიმენტატორი მწვრთნელები უკვე რამდენიმე წელია ეძებენ დაწყებითი კლასების მოსწავლეებისთვის ცურვის მასობრივად სწავლების ახალ ფორმებს. სავალდებულო გაკვეთილები, რაც პირველად შემოიღეს რესპუბლიკის მასშტაბით, ახალ ეტაპად უნდა იქცეს სპორტის ამ მნიშვნელოვანი სახეობის განვითარებაში. ცურვის ნორმებს „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის ხუთივე საფეხური ითვალისწინებს.

— ახლა, როცა ცურვა სასკოლო დისციპლინების რანგამდე ამაღლდა, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს რესპუბლიკის განათლების მინისტრის მოადგილემ ვ. შევჩენკომ, — უკრაინის ყველა ქალაქში ყველა აუზი უნდა მოემსახუროს მიკრორაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს. ბავშვები გამოცდილი მწვრთნელების ხელმძღვანელობით იმეცადინებენ. სპორტული ბაზები მათთვის უსასყიდლოდ იმუშავებენ. გვექნება შესაძლებლობა, რომ ოსტატობის დასახვეწად შევარჩიოთ ნიჭიერი ბავშვები. მიკრორაიონების ერთი ან ორი სკოლის ბაზაზე შეიქმნება გახანგრძლივებული დღის სპეციალიზებული სპორტული კლასები. მოსწავლეებს ყველა პირობა ექნებათ ყოველდღიური ორჯერადი წვრთნისა და საერთო ფიზიკური მომზადებისთვის.

რესპუბლიკის სკოლებში „ცისფერი კლასების" ორგანიზაცია მთლიანად დაკავშირებული უნდა იყოს „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" კომპლექსის პირველ საფეხურთან — „მამაცნი და მოქნილნი". ეს ნიშნავს ბავშვებში მთავარი ფიზიკური თვისებების, აუცილებელი სასიცოცხლო ჩვევების გამომუშავებას, სპორტული ინტერესის გაღვივებას, ფიზკულტურაში მეცადინეობისადმი შეგნებული დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

კიევი.

## წყალქვეშ ცურვის მოყვარულებისთვის

ბევრ სპორტის მოყვარულს გაახარებს ტალინის რეზინის ნაკეთობათა ფაბრიკის ახალი პროდუქცია — რეზინის ჰიდროკოსტიუმი წყალქვეშ ცურვისთვის. მას საწვრთნელ კოსტიუმზე იცვამენ. სპორტსმენს ცურვა არც ცივ წყალში გაუჭირდება. ქურთუკი და შარვალი დამაგრებულია სპეციალური სარტყელით და სამაჯეებით, რაც ასევე კომპლექტში შედის. ჩაფხუტი მჭიდროდაა მორგებული თავზე.

ესტონელმა მოცურავეებმა უკვე გამოცადეს ეს სიახლე. კოსტიუმების პირველი პარტია სხვადასხვა ქალაქში დაიგზავნა. გაისად ფაბრიკა 12 ათას ასეთ კოსტიუმს გამოუშვებს.

ტალინი.



ს უ რ ა თ ზ ე: დიმიტროვის სახელობის თბილისის საავიაციო ქარხნის ტანმოვარჯიშეები მორიგი მეცადინეობის დროს.

ხ. ჯანიაშვილის ფოტო.

# ყველა უძლიერესი ცნობილია

სკოპლე, 2 ოქტომბერი. აქ მიმდინარე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადამ უკვე დაასახელა ქალთა გუნდები, რომლებიც წინასწარი შეჯიბრებების შედეგად მთავარ, ან, როგორც მას უწოდებენ, „ა" ფინალში გავიდნენ. შესანიშნავად მოთამაშე საბჭოთა მოჭადრაკეების, აგრეთვე, დიდი ბრიტანეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთისა და ბულგარეთის გუნდების გარდა, მთავარ ფინალში მოხვდნენ უნგრეთის, გდრ-ისა და გფრ-ის კოლექტივები. ეს გამოირკვა დღეს, გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ.

მარცხის სიმწარე იწვნიეს შეჯიბრების მასპინძლებმა — იუგოსლავიის მოჭადრაკე ქალებმა: იმის გამო, რომ მხოლოდ მეორე ფინალში აღმოჩნდნენ, ისინი მედლებისთვის ბრძოლაში მონაწილეობას არ მიიღებენ.

სამაგიეროდ, იუგოსლავიელი ვაჟები არა მარტო მთავარ ფინალში მონაწილეობენ, არამედ, როგორც ცნობილია, 5 ტურის შემდეგ ლიდერობენ კიდეც — მათ 15 ქულა აქვთ.

გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ უნგრეთის მოჭადრაკეებმა II ადგილზე გადაინაცვლეს. V ტურში შვეციის ნაკრებთან წაგების (1,5:2,5) შემდეგ მათ 13 ქულა დააგროვეს.

ჯერჯერობით III-IV ადგილებზე არიან საბჭოთა კავშირისა და ესპანეთის ნაკრები გუნდები — 12,5-12,5 ქულა.

შემდეგ მოდიან: ჩეხოსლოვაკია — 12, რუმინეთი — 11,5, გფრ — 11, შვეცია, ბულგარეთი — 10-10, აშშ, არგენტინა — 9-9, პოლონეთი — 8,5, ჰოლანდია — 7,5, გდრ, შვეიცარია — 6,5-6,5, დანია — 5,5.

მოგვყავს V ტურის დანარჩენი შედეგები: ჩეხოსლოვაკია — არგენტინა 2,5:1,5, ბულგარეთი — ჰოლანდია 3:1, რუმინეთი — შვეიცარია 2,5:1,5, პოლონეთი — გფრ 2:2.





# ტრადიცია არ დაარღვიეს

ტერნოპოლი, 2 ოქტომბერი. უკრაინის ეს ქალაქი მოლდავეთის ველოსიპედისტებს ტყუილუბრალოდ როდი მიაჩნიათ იღბლიან ადგილად: შარშან აქ კიშინიოველმა ვ. ბელოუსოვმა საკავშირო ველოტურის ეტაპი მოიგო, წლეულს ზაფხულში მისმა თანაქალაქელმა ი. პოლუპანოვმა ასევე წარმატებას მიაღწია პოლკოვნიკ სკოპენკოს სახელობის საერთაშორისო რბოლის დროს, დღეს კი ათახობით ტერნოპოლელი მხურვალედ მიესალმა დ. ტრიშინს, რომელმაც პირველმა გადაკვეთა XIX საკავშირო მრავალდღიანი ველორბოლის მესამე ეტაპის ფინიშის ხაზი.

ტრიშინი ძირითად ჯგუფს ფინიშამდე 20 კილომეტრით ადრე გაექცა. ეულ ლიდერს გვიან დაედევნენ, მაგრამ ეწეოდნენ კიდეც, მდევართა ჯგუფში ერთი რომელიღაც ველოსიპედისტი რომ არ წაქცეულიყო. ამან ზედახორა გამოიწვია და ტრიშინს უკვე ველარავინ დაეწია. 169-კილომეტრიანი ეტაპი (ჩერნოვცი — ტერნოპოლი) კიშინიოველმა მრბოლელმა 4 საათში, 1 წუთსა და 50 წამში გაიარა (ბონიფიკაციის ჩათვლით).

II ადგილი დაიკავა მუკაჩოველმა გ. ჩაპლიგინმა (4:02.35), ხოლო III — კუიბიშეველმა ა. გუსიატნიკოვმა (4:02.45).

თუმცა რბოლის ლიდერმა რ. კალნენიექსმა (რიგა) ეტაპი მეთორმეტემ დაამთავრა, სამი ეტაპის ჯამში იგი კვლავინდებურად წინაა — 10:52.22. II ადგილზე მყოფ ლიტველ ვ. პაშკაუსკასს ლატვიელს ნახევარი წუთით ჩამორჩება. III ადგილზეა კუიბიშეველი ნ. სიტნიკი.

თავდაპირველად ძირითადი ჯგუფი მჭიდრო კოლონად მიდიოდა. სიჩქარე მაღალი იყო (საშუალოდ — 41,7 კმ საათში). ვ. ზიკოვის (მოსკოვის ოლქი), ი. მოსკალიოვისა (კიშინიოვი) და ვ. აბრამოვის (მოსკოვი) მეცადინეობა — გაქცეოდნენ ძირითად ჯგუფს, უნაყოფო გამოდგა, თუმცა მათ ასეთი თანმიმდევრობით გადაკვეთეს საშუალედო ფინიშის ხაზი.

ტრიშინი ძირითად ჯგუფს ერთ-ერთ გრძელ აღმართზე გაექცა (ტყუილად როდი ეძახიან „მთების მეფეს"). თავდაპირველად არმიელი ჯგუფს 40 წამს უგებდა, მერე ამ სხვაობამ იმატა კიდეც. მისი მთავარი მეტოქეები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზედახორის გამო გამოეთიშნენ ბრძოლას, ფინიშამდე კილომეტრნახევარი რომ იყო დარჩენილი. სწორედ ამ შემთხვევამ რბოლას რამდენიმე ველოსიპედისტი გამოაკლო — ახლა ტურს 91 სპორტსმენი აგრძელებს, მრავალდღიანი ველორბოლის სტარტი კი 96 მრბოლელმა აიღო.

გუნდურ ჩათვლაში ასეთი მდგომარეობაა: ლიდერის ცისფერი მაისურები აცვიათ კუიბიშეველებს (460 კილომეტრის შემდეგ მათი დროა 32:49.03). II ადგილზე არიან მოსკოველები (32:50.51), ხოლო III — ლატვიის ველოსიპედისტები (32:51.53).

# ანგარიშში სხვაობა შემცირდა

სკოპლე, 3 ოქტომბერი. VI ტურის სტარტის შემდეგ ვაჟთა საჭადრაკო ოლიმპიადის მთავარი ფინალის ლიდერს — იუგოსლავიის გუნდსა და საბჭოთა ნაკრებს შორის სხვაობა ქულანახევრამდე შემცირდა. ეს მოხდა, როცა ტურნირის მასპინძლებისა და ესპანელთა შეხვედრაში შესვენებისთვის ანგარიში იყო 2:1 (ერთი პარტია გადადებულია), საბჭოთა დიდოსტატებმა კი პოლონელ მეტოქეებთან ყველა ორთაბრძოლა დაამთავრეს და გამარჯვებას მიაღწიეს — 3:1. პეტროსიანმა მოუგო შმიდტს, კარპოვმა — შნაპიკს, სმისლოვმა და ტალმა ყაიმით დაამთავრეს შეხვედრები ბედნარსკისთან და პიტელთან.

VI ტურის დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: ჰოლანდია — აშშ 2:1 (ერთი პარტია დაუმთავრებელი დარჩა), არგენტინა — დანია 1:1 (2), რუმინეთი — ჩეხოსლოვაკია 1:1 (2), უნგრეთი — შვეიცარია 2:0 (2), გფრ — შვეცია 1:0 (3), ბულგარეთი — გდრ 1:1 (2).

მთავარ ფინალში ასეთი მდგომარეობაა: იუგოსლავია — 17 ქულა (1), სსრ კავშირი — 15,5, უნგრეთი — 15 (2), ესპანეთი — 13,5 (1), ჩეხოსლოვაკია — 13 (2), რუმინეთი — 12,5 (2), გფრ — 12 (3), ბულგარეთი — 11 (2), შვეცია — 10 (3), არგენტინა — 10 (2), აშშ — 10 (1), ჰოლანდია — 9,5 (1), პოლონეთი — 9,5, გდრ — 7,5 (2), დანია და შვეიცარია — 6,5-6,5 (2-2)

მოეწყო მთავარ ფინალში გასული ქალთა გუნდების კენჭისყრა. I ტურში სსრ კავშირის ნაკრები რუმინეთის გუნდს ხვდება. დანარჩენი წყვილებია: ბულგარეთი — გფრ, გდრ — ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი — ინგლისი.

# ოლიმპიური იდეალების სულისკვეთებით

ოტავა, 3 ოქტომბერი. 1976 წლის მონრეალის XXI საზაფხულო ოლიმპიური თამაშების მოსამზადებელმა კანადის საორგანიზაციო კომიტეტმა სსრ კავშირის ოლიმპიურ კომიტეტს მისალოცი დეპეშა გაუგზავნა სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრებისა და კანადის უძლიერეს პროფესიონალთა გუნდის ამასწინანდელ შეხვედრათა სერიის დამთავრებასთან დაკავშირებით.

„საორგანიზაციო კომიტეტის წევრები ულოცავენ საბჭოთა ნაკრებს, რომელმაც მთელი სამყარო დიდებული თამაშით მოხიბლა სსრ კავშირ — კანადის მატჩების სერიის დროს, — ნათქვამია დეპეშაში. — ჩვენ განსაკუთრებით საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ თქვენი გუნდის მიერ გამოვლენილი შესანიშნავი სპორტული სულისკვეთება, რომელიც მთლიანად შეესაბამება ოლიმპიურ იდეალებს. ამავე დროს ჩვენ გვსურს ვისარგებლოთ ამ შესაძლებლობით და მადლობა გამოვუცხადოთ საბჭოთა სპორტსმენებს მიუნხენის ოლიმპიადაში გამოსვლისთვის. საბჭოთა სპორტსმენები მონრეალის XXI ოლიმპიადის სასურველი მონაწილენი იქნებიან".

# ოლიმპიადის ირგვლივ

## ფილმი შეჯიბრების გახსნას ეძღვნება

ხკოპლეს ტელევიზიამ გადაიღო ფერადი ფილმი ოლიმპიადის გახსნაზე. ამ ფილმის შეძენის სურვილი უკვე 74 ქვეყანამ გამოთქვა.

## ცოლ-ქმარი ერთ გუნდში

ვირჯინიის კუნძულების გუნდში, რომელიც ოლიმპიადის VIII ნახევარფინალურ ჯგუფში მონაწილეობდა, ცოლ-ქმარი ბრუმენები გამოდიოდნენ. ქმარი მეორე დაფაზე თამაშობდა, ცოლი (ვაჟთა შეჯიბრების ერთადერთი მონაწილე ქალი) კი მეოთხეზე.

## ხელი შეუწყვეს...

სკოპლეს ზოგიერთ საწარმოში ორცვლიანი სამუშაო კვირა შემოიღეს: ეს იმისთვის გაკეთდა, რომ საწარმოების მოსამსახურეებს საშუალება ჰქონდეთ ოლიმპიურ ტურნირს დაესწრონ.

## დროს არ კარგავენ

სკოპლეს ოლიმპიური სოფლის სტომატოლოგიური ამბულატორია დიდი პოპულარობით სარგებლობს შეჯიბრების მონაწილეთა შორის. კაცებს აქ იშვიათად შეხვდებით, სამაგიეროდ, ქალების მიღებას ...ერ აუდიან: ბოლოს და ბოლოს, კბილები მათთვის ჭადრაკზე ნაკლებ მნიშვნელოვანი როდია.

## საფოსტო მარკები

იუგოსლავიაში გამოუშვეს ვაჟთა XX და ქალთა V ოლიმპიადებისადმი მიძღვნილი ორი საფოსტო მარკა. მარკები შვეიცარიაშია დამზადებული უახლესი პოლიგრაფიული საშუალებების გამოყენებით. ერთი მარკის ტირაჟი 700 ათასი ცალია (ერთნახევარი დინარი ღირს), მეორესი კი 250 ათასი (6 დინარი).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.





გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კვირისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი 8, ლენინის ქ. № 14 (ინდექსი 380008), დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99 56 14, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93 97 52, მასობრივ ფიზკულტურული და მოსწავლე და ხოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93 97 55, სპორტული განყოფილება — 99 56 47, 93 97 53, ფეხბურთის განყოფილება — 99 81 71, 93 97 56, ჭადრაკის განყოფილება — 93 97 57, წერილების განყოფილება — 93 97 54, მემანქანეთა ბიურო — 93 97 59, ფოტოლაბორატორია — 93 97 58, გამომშვები — 93 93 81, კორექტორები — 93 97 49.